საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა

არქიტექტურის რესტავრაცია/კონსერვაცია

პროგრამის ხელმძღვანელი:
კახა ხიმშიაშვილი
თსსა ასოცირებული პროფესორი

დამტკიცებულია თსსა აკადემიური საბჭოს სხდომაზე
2023 წლის 1 სექტემბერს, ოქმი №32

ფართო სფერო (მიმართულება): 07. ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა.
Engineering, Manufacturing and Construction

ვიწრო სფერო (დარგი/სპეციალობა): 071 ინჟინერია და საინჟინრო საქმე
Engineering and Engineering Trades

დეტალური სფერო (ქვედარგი/სპეციალიზაცია): 0739 არქიტექტურა და მშენებლობა – არაკლასიფიცირებული
0739.1.1 არქიტექტურის რესტავრაცია Architectural Restoration

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მაგისტრი არქიტექტურის რესტავრაციაში

სწავლების ენა: ქართული
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
სამაგისტრო პროგრამის მოცულობა: 120 ECTS
სწავლის ხანგრძლივობა: – 2 კადემიური წელი, 4 სემესტრი.

პროგრამის მიზანი:
პროგრამის მიზანია, მოამზადოს კვალიფიციური არქიტექტორ-რესტავრატორი, რომელიც აქტიურად იქნება ჩართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში; მოამზადოს საერო და საკულტო არქიტექტურაში კვალიფიცირებული რესტავრატორები, რომლებიც შეძლებენ როგორც სარესტავრაციო სამუშაოების უზრუნველყოფას და სწორი მეთოდოლოგიის შერჩევას, ასევე სამეცნიერო კვლევას მეცნიერების უახლესი მიღწევების გათვალისწინებით, თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებისა და უახლესი ინტერდისციპლინური მეთოდების გამოყენებით.

სწავლის შედეგები:
<u>ცოდნა და გაცნობიერება</u>

1. მაგისტრმა ღრმად **იცის** კონსერვაციის სამეცნიერო პრინციპები, კანონმდებლობა (ქარტიები და კონვენციები), კულტურული მემკვიდრეობის სამართლებრივი საკითხები;
2. მაგისტრმა **იცის** არქიტექტურულ ძეგლთა კონსტრუქციები, შენობის დაგეგმარებასთან დაკავშირებული საინჟინრო-სამშენებლო ტექნოლოგიები და მასალები; აქვს ცოდნა ქალაქმშენებლობაში, ტერიტორიული დაგეგმარების საკითხებში და **აცობიერებს** ამ საკითხების ცოდნის აუცილებლობას არქიტექტურული ნაგებობის რესტავრაცია–კონსერვაციის პროცესში;
3. მაგისტრმა იცის არქიტექტურული მემკვიდრეობის გლობალური დაგეგმვისა და მართვის პრინციპები და **იაზრებს** მათ მნიშვნელობას.
4. მაგისტრი **ერკვევა** კონსერვაციის სხვადასხვა სტრატეგიაში და **აცნობიერებს** რესტავრაცია-კონსერვაციის პროცესში სხვადასხვა მეცნიერების როლს;
5. მაგისტრმა **იცის** მსოფლიო და ქართული არქიტექტურის ისტორიის ყველა ეტაპი და ამ ეტაპების დამახასიათებელი სტილისტური ნიშნები, კაცობრიობის კულტურის

განვითარების ეტაპები და ამ ეტაპებისთვის დამახასიათებელი ნიშნები და პედაგოგიკის ძირითადი საკითხები.

<u>უნარი</u>

6. მაგისტრი ძეგლის შესახებ **აგროვებს** საჭირო წერილობით, ფოტო და საარქივო ინფორმაციას, ასევე, პარალელურ მასალას; **ამუშავებს, აანალიზებს** მათ და ახდენს ამ ინფორმაციის კლასიფიკაციას.
7. მაგისტრი **ადგენს** არქიტექტურულ ძეგლთა დაზიანების სახეებსა და ტიპებს და შეიმუშავებს პრევენციულ ღონისძიებებს;
8. მაგისტრს **ახდენს** ძეგლის სამშენებლო ფენების იდენტიფიცირებას, **აანალიზებს** ფენებს და გამოსახავს მათ გრაფიკულად;
9. მაგისტრი **ითვალისწინებს** კომპოზიციის კანონებს, ფუნქციურ, ესთეტიკურ, ტექნიკურ საკითხებს, კონსერვაციის სამეცნიერო პრინციპებსა და კანონმდებლობას, ადგილობრივ და მსოფლიო არქიტექტურაში ისტორიულ და კულტურულ პრეცედენტებს, პროფესიული ეთიკის მოთხოვნებს და შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის - ნახაზების, სქემების, ჩანახატების, ესკიზების, საარქივო მასალების გამოყენებით, **ქმნის** სარესტავრაციო პროექტს, ასევე, ნაგებობათა ადაპტაციის პროექტს და **ადგენს** სარესტავრაციო დოკუმენტაციას;
10. მაგისტრი **აყალიბებს** საპროექტო ამოცანას/ამოცანებს, **განსაზღვრავს** ამ ამოცანის/ამოცანების გადაწყვეტის გზებს, **გეგმავს** სარესტავრაციო სამუშაოების ეტაპებს;
11. მაგისტრს **შეუძლია** სარესტავრაციო/საკონსერვაციო პრობლემების იდენტიფიცირება, ფორმულირება, მათზე მსჯელობა, საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენა, როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიული საზოგადოებისათვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება და პრეზენტაციის მომზადება ქართულ და უცხო ენებზე;

<u>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</u>

12. მაგისტრი სათანადოდ **აფასებს** ქართული კულტურის ფენომენს, სოციალურ-კულტურულ, ზნეობრივ, ესთეტიკურ, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, აცნობიერებს საკუთარი საქმიანობის მნიშვნელობას ღირებულებათა ფორმირებისა და მათი დამკვიდრებისაკენ სწრაფვის პროცესში და ინდივიდუალური სასწავლო საჭიროებისამებრ **გეგმავს** საკუთარ პროფესიულ განვითარებას.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების პირობები:

პროგრამაზე დაიშვება არქიტექტურის, არქიტექტურის რესტავრაციისა და ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც წარმატებით ექნება ჩაბარებული:

- საერთო სამაგისტრო გამოცდა;
- გამოცდა უცხო ენაში (თსსა);

- ორ კომპონენტიანი გამოცდა სპეციალობაში (რეფერატი და პრეზენტაცია; გამოცდა ხაზვაში)

საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე თსსა-ში ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად (მიღების პროცედურა გაწერილია თსაა სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. მუხლი 7)

საგანმანათებლო პროგრამის ხანგრძლივობა: – 2 კადემიური წელი, 4 სემესტრი.
აკადემიური წელი შედგება 2 სემესტრისაგან. სემესტრის ხანგრძლივობა არის 21 კვირა, მათ შორის: სალექციო – 15, სასესიო – 3 და პრაქტიკის – 2, დამატებითი გამოცდისთვის – 1 კვირა. (თსაა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. მუხლი 15, პუნქტი 15.3)

პროგრამის სტრუქტურა

№	მოდულის დასახელება	I	II	III	IV	ECTS
1	საფაკულტეტო საგნები	10	5			15
2	სპეციალობის საგნები	15	20	20		55
3	არჩევითი საგნები	5	5	10		20
4	სამაგისტრო ნაშრომი				30	30
	სულ ECTS	35	35	20	30	120